1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „ კსჰ კავკასიან სუს ჰერითიჯ“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, ონის რაიონი სოფ. ღარი. მისი ძირითადი საქმიანობაა სასელექციო ფერმაში ქართული აბორიგენული ჯიშის ღორებისა და გოჭების სელექცია და გამრავლება. ამ მიზნით სახელმწიფოსაგან გამოყოფილი კრედიტით 2019 წელს ონის რაიონის სოფელ ღარში აშენდა სანაშენე ფერმა.

2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს-ს შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე , იმის დაშვებით , რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს . ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართულ ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხორ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად , წლის ბოლოსათვის . კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშებზე.

ამონაგები

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარება ხდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და რელიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯები.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ მომავალში წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას და ვალდებულების ზრდასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების და ზარალის ანგარიშგებაში თუ მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარებულ კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ვალდებულება აღიარდება მიმდინარე საანგარიშგებო წელს ,როდესაც ხდება წლის გაუნაწილებელი მოგების დაანგარიშება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება დივიდენდის განაწილების დროს.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა, ეს მოვლენა არის ქმედება ან ფაქტი რომელიც საქართველოს საგადასახდო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით.

ცვეთა ერიცხება მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა ნაგებობანი -5
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-16
ავეჯი და სხვა ინვენტარი 10-15
კომპიუტერული ტექნიკა 15-20
სხვა 15

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმის რომ ცვეთის ნორმა, აქტივის მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მის გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომში გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ჩაირთვება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

ბიოლოგიური აქტივები

სასელქციო ფერმაში ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვა წარმოებს რეალური ღირებულებით, აქტივის წარმოებაზე და ნამატის მიღებაზე მიღებაზე გაწეული ხარჯები აღიარდება მისი გაწევის მომენტში, რომელიც ზრდის საწარმოს მფლობელობაში მყოფი ბიოლოგიური აქტივის რაოდენობას და ღირებულებას.

აქტივების გაუფასურება

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასქონლო-მატერიალური ფასეულობის ეთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ შემდგომში მოხდა გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მზავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების(სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის)შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად , რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს რომელიც უშუალოდაა დაკავშირებულია პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან და მუდმივ და ცვლად ზედნადებ დანახარჯებთან, რომელიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პაროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. სასქონლო მატერიალური მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური

მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, სანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდი

დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი (გაუნაწილებელი მოგება).

3. ამონაგები	**2020**	**2019**
საქონლის გაყიდვა	69108	90840
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება		
	69108	90840

4. სხვა შემოსავალი	**2020**	**2019**
შემოსავალი კონვერტაციის შედეგად		
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული შემოსავალი	0	0
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ზედმეტობა	1440	1669

პენსიის უკან დაბრუნება	0	0
	1440	1669

5. ფინანსური დანახარჯები	**2020**	**2019**
სესხის პროცენტი	64402	5788

6. ხარჯები	**2020**	**2019**
6.1 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	51278	89285
6.2 კომერციული დანახარჯები	66099	61354
6.3 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	134250	88746
6.3(1) შრომის ანაზღურება	49625	46250
6.3(2) პენსია	1336	1638
6.3(3) საიჯარო ქირა	6750	7885
6.3(4) კომუნიკაციის ხარჯი	679	359
6.3(5) რემონტის ხარჯი	1497	4381
6.3(6) კომპიუტერის ხარჯი	17	
6.3(7) საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი		424
6.3(8) საკონსულტაციო ხარჯი	2590.44	8719
6.3(9) ცვეთა და ამორტიზაცია	62708	3753
6.3(10) სხვა საგადასახადო ხარჯი	765	428
6.3(11) მივლინების ხარჯი	3066	2897
6.3(12) დაცვის ხარჯი		
6.3(13) ბანკის საკომისიოს ხარჯი	221	253
6.3 (14) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების , შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება	4823	8694
6.3(15) სხვა საერთო ხარჯი	173	3065

7.სხვა ხარჯები	**2020**	**2019**
რეალიზებული ნედლეულის თვითღირებულება		
ზარალი კონვერტაციის შედეგად	53	2779
გასავალი ვალუტის გადაფასებიდან	1383	1785
ძირთადი საშუალების რელიზაციდან		
საქველმოქმედო ხარჯი		
ჯარიმა საურავი	1700	
	3136	4564

სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი (ჩართულია სხვა ხარჯებში)

8.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2020**	**2019**
სავაჭრო დებიტორები	13201	44881
გადახდილი ავანსები	92915	93215
სხვა	59	80283

	106175	218379

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020	2019
საქონელი	0	1020
ნედლეული და მასალები	9222	5233
მზა პროდუქცია	26081	26081
სათადარიგო ნაწილები		
სხვა მარაგები	5579	3704
	40882	36039

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები და მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი	სხვა
1 იანვარი 2020 წელი	109300	187648				23537
შემოსვლა		1097284	449	5972	6610	7347
გასვლა						
31 დეკემბერი 2020 წელი	109300	1284932	449	5972	6610	30884
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2020 წელი		1862				3205
წლიური ცვეთა		55969	52	1077	1202	4408
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2020 წელი		57831	52	1077	1202	7613
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020 წელი	109300	1227101	397	4895	5408	23271

12. საგადასახადო ვალდებულებები	**2020**	**2019**
მოგების გადასახადი		
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	1872.27	
	1872.27	0

13. ბანკის სესხი	**2020**	**2019**
გრძელვადიანი სახელმწიფო სესხი	755491	742050

14. სავაჭრო ვალდებულებები	**2020**	**2019**
სავაჭრო ვალდებულებები	8667	28662

წინასწარი გადახდები		
	8667	28662

16. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს1475963 ლარს.

17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	**2019**
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	816	240
ფული საბანკო ანგარიშებზე	559	49227
	1375	49467

		31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	(3)	69108	90840
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		51278	89285
საერთომოგება		17830	1555
სხვა შემოსავლები	(4)	1440	1669
კომერციული დანახარჯები		66099	61354
ადმინისტრაციული ხარჯები	(6)	134250	88746
სხვა ხარჯები	(7)	3136	4564
ფინანსური დანახაჯები		64402	5788
მოგება დაბეგვრამდე		-248617	-157228
მოგების გადასახადი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		0	0
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		0	0
დივიდენდი		0	0
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		0	0

		31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	(17)	1375	49467	4097
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(8)	106175	138105	195130
სხვა მოკლევადიანი აქტივები			80274	56974
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(9)	40883	36039	49517
სულ მიმდინარე აქტივები		**148433**	**303885**	**305718**
გრძელვადიანი აქტივები				
				142214
ძირითადი საშუალებები	(10)	1.438147	320485	698073
ბიოლოგიური აქტივები		201647	145856	187371
არამატერიალური აქტივები	(11)	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1639794**	**466341**	**1027658**
სულ აქტივები		**1788227**	**1840048**	**1333376**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(14)	37565	59030	43482
გადასახდელი პროცენტები		50961	0	
საგდასახადო ვალდებულებები	(12)	1778	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**90304**	**59030**	**43482**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		755491	742050	0
სულ ვალდებულებები		**845795**	**801080**	**43482**

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	1475963	1475963	1314118
გაუნაწილებელი მოგება	-533531	-436995	-24224
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**1788227**	**1840048**	**1333376**

Vasil Babluani 55001006849

Digitally signed by Vasil Babluani
Date: 2022.02.24 16:42:54